პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

269 (967) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ლანძღვა-გინება ბურჟუაზიულ-მონურ წესწყობილების ნაშთია.

### მოვსპოთ ის ჩვენს რიგებში.

ჩვენს გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო წერილი ერთ ერთ ნაწილიდან იმის შესახებ, რომ ახალწვეულები ხშირად უშვერი სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთსო.

ეს დაუშვებელია წითელი ჯარის რიგებში.

ლანძღვა გინება, უწმაწური სიტყვა ყოველივე ეს ძველი, დახავსებული წესწყობილების საზიზღარი ნაშთია, ისე როგორც ლოთობა, ბანქოს თამაში და სხვა ამდაგვარი ადამიანის ღირსების დამამცირებელი ზნე ჩვეულებები.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა მოსპეს ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა. მაგრამ ჯერ ჯერობით კიდევ არ მოსპობილა ამ ბატონების მიერ ნაანდერძევი ცუდი ზნე-ჩვეულებები.

ჩვენი ვალია ვებრძოლოთ ამ ცუდ ზნე-ჩვეულებებს ყველგან და ყოველთვის.

სასტიკად უნდა ვებრძოლოთ მათ წითელ ჯარშიც.

მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში, რომელიც უდიდეს საკაცობრიო იდეალებს ემსახურება ადგილი არ უნდა ქონდეს არც ლანძღვა-გინებას, არც სიმთვრალეს, არც ბანქოს თამაშს და სხვა.

წითელი არმიის ჯარის კაცი თავდაჭერილობის, რევოლიუციონური შეგნებულობის, სიმტკიცისა და კულტურობის საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს.

ის წითელ არმიელი, რომელიც უშვერი სიტყვებით მიმართავს თავის ამხანაგს, ან უცხო მოქალაქეს—უპირველეს ყოვლისა სახელს უტეხს მუშების და გლეხების დამცველს —წითელ არმიას და ამავე დროს თავის თავსაც იმცირებს.

ეს კარგად უნდა შეიგნონ ყველა წითელ არმიელებმა, როგორც ძველებმა, ისე ახლებმაც.

და არა თუ უნდა შეიგნონ, არამედ თვით უნდა შეებრძოლონ ამ სამარცხვინო მოვლენას. ამხანაგური დარიგებით, სათანადო ახსნა-განმარტებით თუ გაკიცხვით, ერთი სიტყვით დარწმუნების ყველა საშუალებებით უნდა ვეცადოთ, რათა მოვსპოთ ლანძღვა-გინება ჩვენს რიგებში.

ეს უდიდესი კულტურული მიღწევა იქნება.

ცხადია, ერთის მოსმით მას ვერ მოვსპობთ. აქ საჭიროა ხანგრძლივი, სისტემატიური ბრძოლა და ამ ბოროტებას კიდევაც მოუღებთ ბოლოს. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას კედლის გაზეთიც.

ამხანაგო წითელ არმიელებო! მთელი თქვენი რევოლიუციონურ შეგნებით ებრძოლეთ უშვერი სიტყვების ხმარებას თქვენს რიგებში!

ძირფესვიანად აღმოფხვარით ის!

და რაც შეიძლება მოკლე ხანში!

## ფინანსიური კრიზისი ძირს უთხრის ბურჟუაზიულ საფრანგეთს.

საფრანგეთში კვლავ გადადგა მთავრობა. სულ 24 დღე იარსება მან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ყოველგვარ ზომას ხმარობდა როგორმე მოეგვარებია ფინანსების საკითხი, მაგრამ ამაოდ. ვერავითარმა გეგმებმა და ზომებმა ვერ უშველა პენლევეს ახალ მთავრობას. ფინანსიურმა კრიზისმა მასაც მოუღო ბოლო. არ დაზოგავს ის არც სხვა ახალ კაბინეთებს, ვინაიდან ფინანსიური კრიზისი იმდენათ ღრმაა, მის გარშემო სხვა და სხვა ფენების ინტერესთა ისეთი შეჯახებაა, რომ მისი გადალახვა არც ისე ადვილი საქმეა.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია დღევანდელი ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში. მიზეზებია: გარეშე და შინაური ვალები, დიდი სახელმწიფო ხარჯები და მცირე სახელმწიფო შემოსავალი, ფრანკის კურსის დაცემა, რასაც შედეგად მოაქვს მშრომელთა ფართო მასების და წვრილი ბურჟუაზიის გაღატაკება.

ერთადერთი გამოსავალი გზა ამ ფინანსიური ჩიხიდან არის ის, რომელზედაც დღეს მიუთითებს საფრანგეთის კომპარტია.

ეს გზა—ვალების გაუქმება და მსხვილი ბურჟუაზიისათვის ქონების ჩამორთმევა. კომუნისტები ამბობენ დღევანდელი ფინანსიური კრიზისი და ყველა ის უბედურებანი, რომელიც მას მოყვა—გამოწვეულია ბურჟუაზიის იმპერიალისტური, ყაჩაღური პოლიტიკით.

საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია ფინანსიური კრიზისზე ხელს ითბობს და ასქელებს თავის ჯიბეს.

ამიტომ საჭიროა ეს კრიზისი მოგვარებულ იქმნას ისევ მსხვილი კაპიტალის მსუქანი ჯიბით.

მაგრამ კომუნისტების საფინანსო გეგმის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ საფრანგეთის კაპიტალისტები და მათი ერთგული მოციქულები გამყიდველი სოციალისტები და სხვა და სხვა ჯურის შემთანხმებელი პარტიები.

როგორც ვიცით, ეს საშუალო და წვრილ ბურჟუაზიის პარტიები — სოციალისტები, რადიკალ-სოციალისტები და სხვები გაერთიანებულ არიან ეგრედ წოდებულ „მემარცხენე ბლოკში“. აი ამ „მემარცხენე ბლოკის“ მთავრობა იყო ამ ბოლო ხანებში საფრანგეთში. „მემარცხენე ბლოკი“ უძლურია დაბეგროს მსხვილი კაპიტალი. აქედან ცხადია, რომ რამდენიც არ უნდა ეცადოს მან, რამდენი პროექტებიც არ უნდა გამოიგონოს თუ არ დაბეგრა კაპიტალი, ისე ფინანსიური კრიზისის საკითხს ვერ გადასჭრის. ამიტომაც არის, რომ პატარ-პატარა ვარდება ძირს „მემარცხენე ბლოკის“ მთავრობები. ჯერჯერობით ახალი მთავრობა არ შემდგარა. რომც შედგეს სულ ერთია ის საბოლოოდ მაინც ვერ გამოასწორებს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას და მას ისეთივე ბედი ეწვევა, როგორც პენლევეს კაბინეთს. ფინანსიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრისა და უბედურებებისაგან საფრანგეთის პროლეტარიატს და გლეხობას იხსნის მხოლოდ ის გზა, რომელისკენაც მას მოუწოდებს საფრანგეთის კომპარტია.

ეს გზა—პროლეტარული რევოლიუციაა.

—ე.

## ახალი რადიო-ამბები

### საფრანგეთი ახალი მთავრობის მოლოდინში.

#### მინისტრ ბრიანმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე.

#### მთავრობის შედგენა მიენდო დუმერს.

სოციალისტები მერყეობენ.

მინისტრ ბრიანმა უარი განაცხადა საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენაზე.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა მთავრობის შედგენა მიანდო დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარეს დუმერს.

სოციალისტებს ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ მთავრობაში შესვლა-არშესვლის შესახებ.

### განიარაღება ფრანგულად.

საფრანგეთის ავიაციის სამინისტრომ გამოიმუშავა შორს მომქმედი იარაღის ტიპი საჰაერო მოგერიებისთვის.

ხმელეთის ჯარებში სწარმოებს ზარბაზნებით ბრძოლის ცდები ტანკების წინააღმდეგ.

### სირიაში.

#### დრუზები განაგრძობენ ბრძოლას.

„პალესტინის მოამბეში“ დაბეჭდილია დრუზების ბელადის ელ-ატრაშის წერილი, რომელშიაც ის უარყოფს ხმებს, თითქოს დრუზებს განზრახვა ჰქონდეთ გამართონ საზავო მოლაპარაკება საფრანგეთის უზენაეს კომისარ დე-ჟუვენელთან.

თუ გსურს იცოდე წითელ არმიის განვითარებისა და მიღწევების შესახებ

გამოიწერე „წითელი არმიელი“.

### ამხ. სოკოლნიკოვი საგლეხო სესხის შესახებ.

#### სესხის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა.

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ მეორე საგლეხო სესხზე ხელისმოწერამ მოგვცა 71 მილიონ მანეთზე მეტი, იმ დროს, როცა ჩვენი ანგარიშით ორ სერიით უნდა გამოსულიყო 20 მილიონი მანეთი.



ამხ. სოკოლნიკოვი.

სესხის წარმატება მოასწავებს იმას, რომ მოსახლეობას უკვე მოეპოება დანაზოგი თანხა.

მაგრამ სესხის განაღდების წარმატება არ შეიძლება სრულად ჩაითვალოს მანამ, სანამ მეტი ობლიგაცია არ შეიჭრება სოფელში, ვინემ დღეს. სახელმწიფო სესხის პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნას იქეთკენ, რათა ამ მხრივ განხორციელებულ იქნას მუშურ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა გლეხობასთან.

### კომუნისტები ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში.

ჩეხო-სლოვაკიის პალატაში და სენატში არჩეულ 41 კომუნისტს შორის არის რვა დეპუტატი მუშა და ორი გლეხი.

კომუნისტებმა მიიღეს პალატის არჩევნებზე 933.711 ხმა და სენატის არჩევნებზე 774.450. ხმის დიდი უმეტესობა კომუნისტებმა მიიღეს იმ რაიონებში, სადაც ბინადრობენ ჯარები.

### შიმშილობა ჩრდილოეთ მოლდავიაში.

რუმინეთის გაზეთების ცნობით მოლდავიის ჩრდილოეთ ნაწილში მოსალოდნელია შიმშილობა. სურსათ-სანოვაგის მარაგი გამოლეულია. გლეხობამ ხელი მიჰყო სათესლე ხორბლის ხარჯვას.

რა ღირს „წითელ არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.

6 თვით — 3 მან.

12 თვით — 6 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.

6 თვით — 2 მ. 40 კაპ.

12 თვით — 4 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით:

1 თვით — 40 კაპ.

## თათარბუნარის პროცესზე.

ამ ჟამად რუმინეთში მყოფი გონებრივ შრომის მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანების დელეგატები ჰანრი ბარბიუსი, ვერნოშე და ლამი ჩავიდენ კიშინევში და დაესწრენ სასამართლოს სხდომას თათარბუნარის საქმეზე.

## შანხაიში მოხსნილ იქნა სამხედრო წესები.

შანხაიში მოხსნილ იქნა სამხედრო წესები. სტუდენტთა ორგანიზაციებს მიტინგების გამართვის ნება მიეცა.

მიტინგებზე დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა, რათა დაკანონებულ იქნას მუშათა ორგანიზაციები და მუშაობა.

## გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციები ბაქოში.

გუშინ ბაქოში ჩამოვიდა გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია.

ბაქანზე თავმოყრილი ახალგაზრდობა მხურვალედ მიესალმა სტუმრებს. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გაეცნონ საბჭოთა კავშირის მუშათა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებასა და განათლების საქმეს.

დელეგაცია დარჩება ბაქოში სამი დღე, რის შემდეგ გამოემგზავრებიან ტფილისში.

## ბრძოლა მათხოვრობისა და უპატრონობის წინააღმდეგ.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან მოხდა საუწყებათაშორისო თათბირი მათხოვრობისა და უპატრონობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის გარშემო. თათბირმა განიხილა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებათა გეგმა. თათბირმა აუცილებელ საჭიროდ სცნო წარადგინოს იუსტიციის კომისარიატმა კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოებში.

## გროზნოს ნობელის ქარხნის აღდგენა.

დაწყებულია დიდი მუშაობა ყოფილ ნობელის ნავთის სახდელ ქარხნის აღსადგენად.

ძველ მოწყობილობას ემატება 6 ახალი ნავთის სახადი აბაზანა, რაც ერთი-ორად გააძლიერებს ქარხნის ნაყოფიერებას.

## ფართლეულობის საჭიროება ამიერ კავკასიაში.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებმა თითქმის გაანადგურა საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული ფაბრიკა-ქარხნები.

ამიერ-კავკასიაში იმ თავითვე არ ყოფილა განვითარებული მრეწველობა და ფართლეულობის ძველი მარაგი ამიერ-კავკასიაში ჩქარა გამოილია. ახალი ნაწარმოები თუ მოდიოდა უცხოეთიდან, ჩვენ გლეხობას არავითარი საშუალება არ ჰქონდა მისი შეძენის.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან ერთად, ნორმალური გზაზე დადგა ჩვენი წარმოებაც გამოცოცხლდა და ფართალი თანდათან გამოჩნდა ბაზარზე.

წარსულ საანგარიშო წლის განმავლობაში, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში უნდა შემოეტანათ 700 რონოდა ფართლეული, მაგრამ შემოტანილ იქნა მხოლოთ 684 რონოდა. აღნიშნულ რაოდენობას არ შეეძლო ჩვენი გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შარშან თვითეული კაცის საშუალო საჭიროებათ ითვლებოდა 12 არშინი, რაც ინამდვილეში მეოთხედ მოთხოვნილებასაც ვერ დაუკმაყოფილებს ჩვენს გლეხობას. წელს თვითეული გლეხის მოხმარების ნორმათ მიღებულია 14 მეტრო ფართალი და ამ თვალსაზრისითაა გამოანგარიშებული ამიერ-კავკასიაში ფართლეულის შემოტანა.

ამ ჟამად ჩვენში მზადდება მხოლოთ 8 მილიონი მეტრო ფართალი (ბაქოს და ქუთაისის ქარხნები).

სულ წელს შემოტანილ იქნება 80 მილიონი მეტრო ანუ ათასი რონოდა ფართალი. აქედან საქართველოსთვის 430 რონოდა, სომხეთისათვის 180 და აზერბეიჯანისთვის 390 რონოდა ფართალი.

დ. ქ.

## ზღვის ძლიერი ღელვა და ქარიშხალი ბათომში.

20, 21, 22 და 23 ნოემბერს ბათომში მძვინვარებდა ძლიერი ქარიშხალი, წვიმა და სეტყვა. ქალაქის ბაღში გრიგალმა მოჰგლიჯა რამოდენიმე ხე და ზოგიერთ სახლის სახურავები.

ბევრ ალაგას ჩალეწილია ფანჯრის შუშები.

22 ნოემბერს ზღვამ გამოაგდო ორი გვამი. ესენი აღმოჩნდა 22 აპრილს გემ „პიონერზე“ დამხრჩვალი ექიმი და წითელ არმიელი.

## ფრუნზეს სახელობის სამხედრო ქალაქი.

ამ დღეებში ზაპოროჟიეს ახლოს გაიხსნა სამხედრო ქალაქი. ქალაქის საბჭომ დაადგინა ფრუნზეს საპატივცემოდ უწოდოს ქალაქს ფრუნზე.

## უცხო სიტყვების ახსნა.

პროტესტი—1) სასამართლოს მიერ საქმის გარჩევა; 2) რაიმე მოვლენაში ცვლილებათა ურთიერთმოქმედება.

ობლიგაცია—სახელმწიფოს ან კერძო საწარმოო ვალდებულების (სესხის) ქაღალდი.

სენატი—ზემო პალატის სახელწოდება საფრანგეთში, რუმინეთში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში.

პალატა—სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

სერია—რიგი, განყოფილება.

## სამხედრო საქმე.

### ახალწვეულო, გაუფრთხილდი სახალხო ქონებას.

**როგორ უნდა მოუარო საბარგულს.**

ზოგიერთ ახლად მოსულ წითელ არმიელს მოუწევს სამსახურში საბარგულზე მუშაობა, მას ჩააბარებენ ცხენებს, საბარგულს და სხვა.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ნივთი წითელ არმიაში არის სახალხო ქონების ნაწილი. ამიტომ სათანადო ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენზე ჩაბარებულ სახალხო ქონებას.

ვსთქვათ, უნდა შეაბა ცხენი საბარგულში. რაში გამოიხატება შენი მუშაობა და საბარგულს მოფრთხილება ამ დროს?

ვალდებულება ბევრია. ყველა ეს ვალდებულება ეხება საბარგულზე მომუშავეს როგორც ადგილზე, ისე მოძრაობის დროს.

უნდა მოუფრთხილდე საბარგულს და დაიცვა ის მზის, ჰაერის, წვიმისა და ტალახის საზიანო გავლენისაგან. უნდა მოუფრთხილდე დატვირთვისა, გადმოტვირთვის, შებმის, მოგზაურობისა და გამოხსნის დროს. განუწყვეტლივ უნდა ადევნო თვალყური ხომ არ დაზიანებულა რომელიმე ნაწილი, რკინის სალტები, თავთავის დროს უნდა გასწმინდო ტალახი მტვერი და ჟანგი, დაზეთო და საჭირო დროს მისცე შესაღებავად.

ყველა ეს ჩამოთვლილი ზომები კარგად შეინახავს საბარგულს და არ გამოიწვევს სახელმწიფო სახსრის დახარჯვას შეკეთებაზე.

ამას გარდა ყურადღება უნდა მიაქციო აგრეთვე შემდეგს:

როგორ ტვირთავ საბარგულს? როგორ მიგყავს ის? უფრთხილდები თუ არა მოხვეულებში? როგორ ამუხრუჭებ დაღმართზე და სხვა.

ყველა ამ საკითხებზე შენ უნდა უპასუხო არა სიტყვით, არამედ შენი გამოცდილი მოქცევითა და საქმით. მაშინ იქნები სამაგალითო მებარგულე.

მაგალითად, შენ უნდა დატვირთო საბარგულე. შეგიძლია თუ არა შენ დატვირთო ის ზომაზე მეტი ბარგით? არა. იმიტომ რომ ამით საბარგულე დაიმტვრევა და სახელმწიფოს ზარალი მიადგება. შეგიძლია თუ არა ჩქარა წაიყვანო საბარგულე თხრილებთან, ქვიან და უსწორმასწორ ადგილებში, თუ ეს აუცილებელი არ არის? არა, არ შეგიძლია, იმიტომ, რომ საბარგულე ამითაც ფუჭდება. შებმის დროს თვალყური უნდა ადევნო, რომ ყოველი ნაწილი კარგად იყოს მიმაგრებული, კარგად იყოს ცხენები შეკაზმული, რათა მოძრაობის დროს არ დაზიანონ მისი ნაწილები და სხვა.

მაშასადამე, ყოველთვის თვალყური ადევნე სახალხო ქონებას, არ დააზიანო ის და სხვასაც შთააგონე მისი დაცვის აუცილებლობა.

ი. ბარ.

## ჯანსაღ სხეულში სულიც ძლიერია

**ახალწვეულო, გულმოდგინეთ შეუდექი ფიზიკური მომზადებას.**

თანამედროვე ომები მოითხოვენ თვითეული მეომრისაგან ძლიერ ჯანს, დიდ ამტანიანობასა და ძალას. რომ გაიმაგრონ ჯანი, განივითარონ ძალა, სიმარდე და ამტანიანობა, ახალგაზრდა წითელ არმიელები სამსახურში მოსვლის პირველ დღეებიდანვე ეწევიან ტანვარჯიშობას. გზა და გზა ისინი სწავლობენ სიარულსა და სირბილს.

შემდეგ მეომრები თანდათან ეჩვევიან შაშხანის, ხმლის ხმარებასა და სხვა და სხვა დაბრკოლებათა ძლევას. ამას გარდა მეომრები სწავლობენ ცურვას, მენავეობას, ხოლო სადაც კი შესაძლებელია, ყინულზე სირბილსა და ცურაობას.

ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს გამოიმუშავებს წითელ არმიელიდან გამძლე მეომარს, რომელსაც შეეძლება ადვილად გადაიტანოს საბრძოლო გარემოების სიძნელე და ნაკლულევანებანი.

ჯანსაღი ადამიანი, რომელსაც ადვილად შეუძლია სძლიოს ყოველგვარი დაბრკოლება საბრძოლო გარემოებაში, გაირჩევა მხნეობითა და გამბედაობით. ომში იმარჯვებს მხნეობა, გამბედაობა და ამტანიანობა. გამბედავი მეომრისთვის მტერი არაა საშიში იმიტომ, რომ გამბედავი ადამიანი ყოველთვის მშვიდია, გაჭირვების დროს არ იბნევა და იცის, რომ თუ მტერი საშიშია, ისიც საშიშია მტრისთვის.

ამტანიანობას ომში დიდი მნიშვნელობა აქვს გამარჯვების წარმატებაში. 1921—22 წ. წითელმა ჯარებმა ზამთრით, ქარელიაში გალაშქრების დროს, მიუხედავათ 40 გრადუსი სიცივის, უდაბური ადგილების, უგზოობისა და უბინაობის, სძლიეს ყველა სიძნელენი და გაანადგურეს მტერი.

მაშასადამე, რომ გამოიმუშაო თავის თავში ყველა საბრძოლო თვისებები, პირველყოვლისა უნდა განავითარო და გაამაგრო თავისი ჯანი.

პ.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

### რატომ დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია

რევოლიუციის დამარცხების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მუშებმა და გლეხებმა ვერ მოასწრეს გაერთიანებულიყვნენ ძლიერ რევოლიუციონურ კავშირში თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. მუშათა რევოლიუციონური შეგნება სწრაფად გაიზარდა, ხოლო აუტანელმა ცხოვრებამ ის აიძულა გამოსულიყო მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში იმ დროს, როცა გლეხთა რევოლიუციონური შეგნება ის ის იყო ნელ-ნელა იღვიძებდა.

მართალია, ჯერ კიდევ 1905 წლის გაზაფხულიდანვე გლეხობამ დაიწყო ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა და სწარმოებდა მუშათა ბრძოლასთან ერთად. მაგრამ უბედურება ისაა, რომ გლეხობას კიდევ არ ესმოდა მაშინ, რომ მემამულეების ბატონობის დასამხობად საჭირო იყო მეფის მთავრობის ჩამოგდება.

გლეხთა მოძრაობა დაქსაქსული იყო,—ის ვერ გაერთიანდა ერთ ძლიერ რევოლიუციონურ კალაპოტში და მიდიოდა ცალკე მუშათა მოძრაობისაგან.

მხოლოდ 1906 წელში, მწარე გაკვეთილების შემდეგ გლეხობამ შეიგნო, რომ მისი მთავარი მტერი თვითმპყრობლობაა და მათ ყურადღება მიაქციეს მემარცხენე პარტიების სიტყვებს და დაიწყეს სახელმწიფო სათათბიროში მემარცხენე დეპუტატების გაგზავნა.

1906 წელში ახალი ძალით იფეთქა გლეხთა რევოლიუციონურმა მოძრაობამ მემამულეების წინააღმდეგ. მაგრამ დამარცხებულმა მუშებმა მას ვეღარ გაუწიეს დახმარება და ეს მოძრაობა სისხლში იქნა ჩახშობილი.

გლეხთა მერყეობამ, მათი რევოლიუციონური შეგნების მოუმწიფებლობამ გავლენა იქონია არმიაზეც, მეტნაწილად გავლენა გლეხ ჯარის კაცებზე. ჯარის კაცები გრძნობდენ, რომ რევოლიუციონური ბრძოლა ახლოსაა მათ ინტერესებთან. მაგრამ ეს ნათლად არ ესმოდათ. ამათში მათ ხელს უშლიდა: მეფისადმი რწმენა, უფროსების შიში, ნდობა ღვდლებისადმი და სხვა. ამიტომ თუმცა არმიაში ადგილი ჰქონდა ცალკე აჯანყებებს, მაგრამ საერთოდ არმიაში დარჩა მერყევი ან მეფისადმი ერთგული.

ასეთია დამარცხების პირველი მიზეზი: გლეხთა რევოლიუციონური შეგნების მოუმწიფებლობა, შეუკავშირებლობა მუშურ-გლეხურ მოძრაობაში.

დამარცხების მეორე მიზეზია ის, რომ რევოლიუციონურ პარტიებს შორის მხოლოდ ბოლშევიკები სთვლიდენ აუცილებლად შეიარაღებულ აჯანყებას და შეუდრეკლად ამზადებდენ ამისთვის ხალხს. მენშევიკებს, პირიქით, ეშინოდათ ბურჟუაზიის ჩამოშორების და ყოველმხრივ სცდილობდენ შეესუსტებიათ მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური სული.

მესამე მიზეზია ის, რომ ბურჟუაზიამ უღალატა რევოლიუციის საქმეს. ბოლშევიკები წინასწარ ხედავდენ ამ ღალატს და კიდეც წინასწარმეტყველობდენ ამის შესახებ. ასეც მოხდა. მეფის მთავრობით უკმაყოფილო ბურჟუაზიას სურდა კონსტიტუცია, სურდა შეეზღუდა თვითმპყრობლობის უფლებები და თვით ჩასდგომოდა სათავეში ხელისუფლებას. მაგრამ რევოლიუციის გაძლიერების შემდეგ ის უცებ გადავიდა მეფის მხარეზე. აჯანყების დროს ის უკვე ეხმარება მეფის ჯალათებს აჯანყების ჩახშობაში.

ჩვენმა ბურჟუაზიამ გადაიყვანა მეფის მხარეზე უცხოელი ბურჟუაზიაც: ესაა რევოლიუციის დამარცხების მეოთხე მიზეზი.

რევოლიუციის ჩასახშობად მეფეს სჭიროდა ფულები. ომმა ბევრი ხარჯები მოინდომა. თვითმპყრობლობას გაკოტრება უქადდა. აი აქ დაეხმარება მეფეს უცხოეთის ბურჟუაზია სესხით.

რატომ დაეხმარა საზღვარგარეთელი ბურჟუაზია მეფეს? ამის მიზეზები იყო მრავალი და მათ შორის ის, რომ უცხოეთის ბურჟუაზიას ეშინოდა არ გადასულიყო მათ ქვეყანაში რუსეთის რევოლიუცია.

მაგრამ უცხოელები ხომ ვერ გასცემდენ ფულს მეფის დასახმარებლად, რომ რუსეთის ბურჟუაზია არ გადასულიყო მეფის მხარეზე. როცა რუსეთის ბურჟუაზიამ უღალატა რევოლიუციას, უცხოელ კაპიტალისტებს იმედი მიეცათ, რომ მათი დახმარება იხსნიდა მეფის თვითმპყრობელობას.

აი უმთავრესი მიზეზები, თუ რატომ გაიმარჯვა თვითმპყრობელობამ ხალხთან ბრძოლაში.

ი. ფ.

# წითელ არმიის ახალი ძალები შეუდგენ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას!

## ახალი შევსება შეუდგა მუშაობას.

**პირველი არტლეგიონის ახალწვეულები.**

ლეგიონში მოსვლის დროს დიდი აღფრთოვანებით შეგვხვდენ ძველი წითელ არმიელები და უფროსი შემადგენლობა.

კარანტინში ყოფნისას მოდიოდენ ჩვენთან ძველი წითელ არმიელები და გვებაასებოდენ სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებზე, როგორიც არის: ყაზარმული ცხოვრება, წითელი არმიის მნიშვნელობაზე, დისციპლინაზე და სხვა. ახალწვეულები ძლიერ კმაყოფილი იყვენ კარანტინის ცხოვრებით. იქ ყოფნის დროს ჩავატარეთ გამოცდები. ეხლა დაყოფილი ვართ ჯგუფებად და თითეულ ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი, რომლებიც ამეცადინებენ მათ პოლიტსაათის ჩატარების დროს. საერთოდ ყველა ახალწვეულები დიდად კმაყოფილი არიან, მაგრამ ზოგიერთ ნაკლოვანებებს მაინც აქვს ადგილი ყაზარმებში, რაც საჭიროა გამოსწორდეს.

მაგალითად: საღამოობით ყაზარმებში ცუდი განათებაა. სამკითხველოდან გამოტანილ წიგნებს ვეღარ ვკითხულობთ ამის გამო. საჭიროა აგრეთვე ლენინის კუთხეში მეორე მაგიდაც დადგან, რადგან მსურველები ბევრია და ერთ მაგიდაზე ვერ ვეტევით. ზოგიერთებისათვის არ დაურიგებიათ აგრეთვე ტანსაცმელი, რაც სიცივეების დაწყების გამო აუცილებელია.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ვახშმობის დროს წესრიგის დაცვას, რადგან უწესრიგობას ხშირად აქვს ადგილი.

ახალწვეული პ. ქებაძე.

## გამოცოცხლდა პოლიტსაათები.

**მე-3 ლეგიონის ბატარეია.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გადმოვედით ახალ ყაზარმაში. აქნობამდე ჩვენ არ გვქონდა პოლიტსაათები საჭირო დონეზე დაყენებული. მაგრამ ეს ნაკლი მალე გამოსწორდა ჩვენი პოლიტხელმძღვანელის და უფშემადგენლობის ერთგული მუშაობით.

ამ ჟამად პოლიტსაათისთვის კარგათ გვაქვს მოწყობილი კუთხე, სადაც გვიდგია პარტები, გვაქვს დაფა, რუკები და სხ. ყველას დარიგებული გვაქვს რვეულები, ფანქრები და ყველა საჭირო ნივთები პოლიტსაათისთვის.

პოლიტსაათები ტარდება კომპლექსიური მეთოდით. წითელი არმიელები გულდასმით ვისმენთ პოლიტსაათებს და კარგათაც ვითვისებთ.

მადლობის ღირსია ჩვენი პოლიტხელმძღვანელი და ვუსურვებთ მომავალშიაც ნაყოფიერი მუშაობის გაგრძელებას.

წ. არმ. გ. გამყრელიძე.

## საქმიანი ლექცია.

**მეორე არტლეგიონი.**

24 ნოემბერს საღამოზე ჩვენი ნაწილის მეორე სამისწავლო ბატარეიაში წაკითხულ იქნა ლექცია ვეტერინარიაზე.

სანამ თვით ლექცია დაიწყებოდა, ლექტორი ჯერ მიესალმა ახალწვეულებს, რომლებიც სულ რამოდენიმე დღეა რაც მოვიდენ წითელ ყაზარმებში და უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა. მან გასაგებად დაუსურათა დამსწრეთ მეფის არმიისა და წითელი არმიის ურთიერთ განსხვავება და ფართოდ აღნიშნა წითელი ყაზარმის ყოფა-ცხოვრება.

მისასალმებელი სიტყვის დამთავრების შემდეგ ლექტორი შეუდგა ლექციის წაკითხვას. ოთხფეხიან ცხოველების მოვლისა და მათ მნიშვნელობაზე. ლექცია იყო ძლიერ დამაინტერესებელი და ამიტომ დამსწრეებმა მისცეს ლექტორს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მან ყველას გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

იმედი გვაქვს შემდეგშიდაც წაგვიკითხავენ ასეთ საინტერესო და ჩვენთვის გამოსადეგ ლექციებს.

ნ. ჰოლოკვა.

## მუშები ჩვენს ყაზარმაში.

22 ნოემბერს მე-2-რე საარტილერიო ლეგიონის წითელ-არმიელთა და უფროს შემადგენლობის საზეიმო კრებას ამხ. კალინინის დაბად. 50 წლ. შესრულების გამო, დაესწრნენ 40-დე მუშა ტყავის ქარხნიდან. მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ, როგორც ახალწვეულები, ისე მუშების წარმომადგენლებიც. კრებამ ერთხმად დაადგინა, რათა გაეგზავნოს ნაწილის და ქარხნის სახელით მისასალმებელი დეპეშა ამხ. კალინინს, დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო.

მუშები ძლიერ კმაყოფილი არიან ჩვენთან მოსვლით. ისინი ამბობენ:

„რამდენად გავეცანით ამ წითელ-ყაზარმას და მის ცხოვრებას, ვერაფერი ვერ ვნახეთ ძველ ყაზარმასთან შედარების ღირსი მოვლენები ანდა სამსახურის ძველებური პირობები. ნამდვილი ყოფილა, რომ წითელი ყაზარმა—სკოლაა და არა სიბნელის ციხე როგორც ეს იყო მეფის დროს“.

ა. პაპოვი.

## ახალწვეულებთან მუშაობის დროს.

**მე-5 ტერლეგიონი.**

ლეგიონში უკვე დაიწყო ახალწვეულებთან მეცადინეობა. პოლიტსაათები სისტემატიურად ტარდება, რომელსაც დიდი მონდომებით და ყურადღებით ისმენენ ახლადმოსული ამხანაგები. კარანტინიდან მათი გადმოყვანისთანავე მოვაწყვეთ ლენინის კუთხეები შესაფერი პლაკატებითა და ლოზუნგებით. საღამოობით პოლიტხელთან ერთად იკრიბებიან ლენკუთხეებში და ისმენენ საუბრებს სხვა და სხვა საკითხების შესახებ.

**კლუბი.**

ლეგიონში კარგად არის დაყენებული სკოლის გარეშე მუშაობა. წარმოდგენები და კინო სურათები ხშირად მიდის. ახალწვეულებში ჯერ არ ჩამოყალიბებულა წრეები, მაგრამ ასეთის სურვილი მათში ძლიერ დიდია, საჭიროა მხოლოდ თაოსნობა, რაც ალბად მალე იქნება.

**ბიბლიოთეკა.**

ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარია შესაფერი რუსულ-ქართული წიგნებით. ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად მოგვდის, როგორც ცენტრიდან, ისე ადგილობრივი. ამჟამად ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვი თითქმის აღემატება 150 კაცს.

ხშირად სარგებლობენ ჩვენი წიგნებით ადგილობრივი ქარხნის მუშები, კომკავშირელები და პიონერები. სამკითხველო ღიაა დილის 9 საათიდან, საღამოს 9 საათამდე.

**სამნეო ნაწილი.**

სამნეო ნაწილი სავსებით ამართლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სურსათ-სანოვაგისა და საერთოდ წითელ არმიელების კვების საკითხი სამაგალითოდ არის დაყენებული. ამ ჟამად მიღებულია ზომები ათასეულის მეთაურებისათვის ცალკე სასადილოს მოსაწყობად.

პური კარგი ცხვება.

**სანიტარული საქმე.**

ლეგიონის საექიმო შემადგენლობა ენერგიულად ეკიდება თავის საქმეს. ყოველდღე ათვალიერებს ახალწვეულების ბინებს, საწოლებს, სამზარეულოს და სხვა. სისუფთავის დაცვას დიდი ყურადღება ექცევა.

**საშეფო საქმე.**

ლეგიონს, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს აყვანილი ყავს შეფობის ქვეშ სოფ. მესხეთი, რომელსაც უწევთ კულტურულ და მატერიალურ დახმარებას. სოფელში ყოველ კვირეულად ვგზავნით ჟურნალ-გაზეთებს.

ამ უკანასკნელად ლეგიონმა საშეფო სოფლის ერთ ღარიბ გლეხს აუშენა სახლი. ქალაქის გლეხთა სასახლეში ლეგიონმა გახსნა აგრეთვე სამხედრო კუთხე, სადაც ბლომად მოიპოვება სხვა და სხვა ნიმუშის იარაღები და ჰაირ საწინააღმდეგო ნიღაბები.

კუთხეზე მიმაგრებულია ერთი მომზადებული ამხანაკი, რომელსაც სისტემატიურად მიაქვს კუთხეში გაზ. „წითელ არმიელი“ და აწყობს გლეხებთან საუბარს ტერსისტემის მნიშვნელობაზე.

დ.

## გაავრცელოდ გაზეთი „წითელი არმიელი“

ბეჭვდითი ორგანო ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა და თამაშობს მუშათა კლასის ბრძოლისა და მისი გათვითცნობიერების საქმეში.

ჩვენი დივიზიების გაზეთიც „წითელი არმიელი“ სასიყვარულო გაზეთია. არა მარტო ჩვენი ნაწილების წითელ არმიელთა და უფ. პოლიტ. შემადგენლობისათვის, არამედ მუშებისა და გლეხებისთვისაც.

მალე 5 წელი შესრულდება გაზ. „წითელი არმიელის“ გამოცემის დაწყების დღიდან. აქნობამდე გაზეთი არსებობდა სხვა და სხვა დახმარებებით. ამ ჟამად ეს დახმარება უკვე ძალზე შემცირებულია და თუ ჩვენ არ შევუწყეთ ხელი მისი გამოცემა მომავალში შეუძლებელი იქნება.

მიმდინარე წლის პირველ დეკემბრიდან გაზეთი უფასოდ აღარავის აღარ მიეცემა. ამის გამო ჩვენი ვალია სასწრაფოდ შეუდგეთ სათანადო კამპანიის ჩატარებას წითელ არმიელთა და ცვალებადელთა ფართო მასაში, უფ-პოლიტ შემადგენლობაში, მწვევამდელებში და მუშებსა და გლეხებში. ყველას აუხსნად რომ გაზეთის არსებობა ჩვენზეა დამოკიდებული და ამიტომ ყველამ ჩვენივე სურვილით გამოვიწეროთ ინდივიდუალურად და კოლექტიურად გაზ. „წითელი არმიელი“.

იმედია ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობა გამოიჩენს დიდ ინიციატივას ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

დ. გო.

## ადგილობრივ ხელისუფლებასთან საერთო ძალით.

**4 ე ლეგ. 2 ე ათასეული.**

წვრთნზე ჩასვლის შემდეგ ათასეულს ბევრი საქმეები ჰქონდა გასაკეთებელი. უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო შენობის შეკეთება, რომელშიდაც დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ. შენობის მომწყობ სააღმშენებლო კომისიაში ადგ. ხელისუფლების წარმომადგენელიც ღებულობდა მონაწილეობას. სულ რამოდენიმე ხნის განმავლობაში მოათავა ათასეულმა ეს საქმე და შემდეგ დავიწყეთ ყაზარმაში ლენინის კუთხეებისა და სამხედრო კუთხეების მოწყობისათვის ზრუნვა.

სახ დრო კუთხეები დაარსებული იქნა სხვა და სხვა რაიონებში. ისინი სრულიად აკმაყოფილებენ უმთავრეს მოთხოვნილებებს.

ათასეულის ლენინისა და სამხედრო კუთხეებს ადგილობრივი ცხრა წლედის მოსწავლე ახალგაზრდობა და კერძო მოქალაქეებიც ეტანებიან. მოდიან, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ვაძლევთ წასაკითხავათ წიგნებს და ეცნობიან ჩვენს ცხოვრებას. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირში ვართ ცხრაწლედიან სასწავლებელთან; ხშირად გაერთიანებული ძალებით ვმართავთ წარმოდგენებს და ვეწევით კულტურული ხასიათის საქმიანობას.

ათასეულმა უკვე დაიწყო ახალწვეულებთან მეცადინეობა. ისინი დიდი ინტერესით ეკიდებიან სამხედრო საქმის შესწავლას. დისციპლინა საუცხოვოა.

სხვა მხრივ ათასეული კარგად არის დაყენებული. სისუფთავე და კვება დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ხანდახან ცხვება ცუდი პური და საჭიროა ამასაც ბოლო მოეღოს.

სამხკორი ლ. ჭელიძე.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ერთი წლით და ვიწვევ შემდეგ პირთ:

1 სამხედრო პოლიტსკოლის მნე ვლადიმერ თავართქილაძეს,

2) სამხედრო პოლიტსკოლის სამოსწავლო ნაწილის უფროსს ამხ. მიხეილ მენაბდეს,

3) მე 6 ლეგიონის მნეს ამხ. ვიქტორ ჯაფარიძეს.

ე. ხუციშვილი.

## შვებულის მუშაობა სოფლად.

## წ. ყაზარმაში შეძენილი ცოდნა არ იკარგება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც, უვადოშვებულებაში წავიდენ სოფლად წითელ არმიელები. ამ ცოტა ხნის განმავლობაში პირველად შეუსრულებიათ მათ ყველა დავალებანი. წითელ ყაზარმაში შეძენილი ცოდნა საკმაოდ გამოუყენებიათ სოფლის ახალგაზრდობაში. ამის ერთ ერთ უტყუარი საბუთია ტერნაწილში ჩარიცხულ ახალგაზრდისაგან წითელ არმიელისადმი გამოგზავნილი წერილი, სადაც იწერება შემდეგს: ამხანაგო წითელ არმიელო, ამ სახელს გიწოდებ მისთვის რომ ვიცი ეს სახელწოდება არის საპატიო სახელწოდება წითელი მხედრისათვის, გისურვებ კარგათ ყოფნას და წითელ არმიაში ერთგულ სამსახურს. გისურვებ ღირსეულად გეტარებიოს წითელ არმიელის სახელწოდება. იქნებ გაგიკვირდეს და იფიქრო ვინ თუ მასწავლა მე რომ წ. ა. სახელწოდება საპატიო სახელწოდებაო. მაგრამ აქ გასაკვირალი არაფერია მე უკვე გავეცანი უვადოშვებულებაში დაბრუნებულ წ. არმიელებისაგან თუ რა არის წითელი არმია, და როგორია მისი ყოფა ცხოვრება. მე სულით და გულით მინდოდა რომ წითელ-ყაზარმაში პირველი ადგილი დამეჭირა, მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ მოხდა. რადგან ჩემისთანა მსურველები ერთი და ორი არ ყოფილა.

ბევრი ახალგაზრდა კენჭის ამოღების შემდეგ გულ დაწყვეტილი დავბრუნდით შინ.

მე ეხლა ტერნაწილში ვარ ჩარიცხული და იმედი მაქვს მალე ვეწვევი წითელ ყაზარმებს და შევისწავლი ყოველივეს, და მეც მივიღებ სახელწოდებას წითელ არმიელისას.

შენი ერთგული ამხანაგი

კირილე.

უკვე ცხადია რომ წითელ ყაზარმაში შეძენილი ცოდნა ტყვილად არ იკარგება. უვადო შვებულებაში წასული წ. ა. საშვალებით ფართოდ ვრცელდება სოფლად მშრომელ ახალგაზრდობაში წითელი არმიის რაობა და მისი აღმშენებლობა.

სამხკორი ნიკა.

## დროს გვაკარგვიებენ.

**სამხედრო მეთაურთა სკოლა.**

სკოლის კურსანტებს კვირაში სამჯერ გვაძლევა ქალაქში გასავლელად შვებულება. ბევრი აც კი სარგებლობს ამით, მაგრამ ზოგიერთებს აუცილებელი საქმეები აქვთ გასაკეთებელი და თითეული თავისუფალი წუთი მათთვის ძვირად ღირს.

სამწუხაროდ შვებულების დღეებში ასეულის მორიგე ზემდეგები ძლიერ აგვიანებენ ამხანაგებს, არ უშვებენ გვიანამდე. არ ვიცით რა უკეთდება აძით იმას გარდა, რომ საჭირო საქმეებზე გვიანდებით.

ამასწინად უნდა წავსულიყავი მძიმე ავადმყოფი მამის სანახავად. მორიგე ზემდეგმა შვებულების თითქმის ნახევარი დრო დამაკარგვია ისე დამაგვიანა. ასე მომექცენ, იმის მაგივრად, რომ უპირატესობა მოეცათ ჩემთვის.

საჭიროა ყველა საქმისთვის განაწილებული დრო ხმარდებოდეს დანიშნულებას და არა ვინმეს პირად კაპრიზებს ან სხვა რამეს.

ზემდეგებს შესაფერი გაფთხილება უნდა მიეცეთ ამის შესახებ.

სამხკორი ალ. ჯინჭროული.

# პარტიული ცხოვრება

**ცხენ. ლეგიონი.**

20 ნოემბერს ლეგიონის პირველ ესკადრონში შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება 1905 წ. რევოლიუციის მნიშვნელობისა და მის შედეგებზე.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. დიდიძე, რომელმაც მრავალი საყურადღებო მომენტებში მოიგონა რევოლიუციონურ მუშებისა ბრძოლის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში და კერძოდ გურიაში. ამხანაგმა აღნიშნა აგრეთვე თუ როგორი შედეგები მოიტანა ამ ბრძოლამ და როგორი როლი ითამაშა მან მუშათა მოძრაობის კიდევ უფრო გამოფხიზლებაში.

მოხსენება მოსმენილი იქნა დიდი ინტერესით. იყო შეკითხვებიც.

შემდეგ განხილული იქნა პარტიაში შესვლის მსურველ ამხანაგების განცხადებები. მიმდინარე საკითხებში საყურადღებო არაფერი ყოფილა.

სამხედრო პ. კახიძე.

## ს ა მ ხ ე დ რ ო!

გაავრცელე გაზ. „წითელ არმიელი“. მოუწოდე ყველას გამოიწერონ ის. ეს შენი ვალია!

# ახკომკავშირელთა შორის.

## საჭიროა წესდებები.

**ქართ. მეთაურთა სამხ. სკოლა.**

ხსენებული სკოლის ა. ლ. კომკავშირის ორგანიზაციის ყველა წევრებს საკმაოდ შეგნებული გვაქვს კომკავშირის მოვალეობანი, მისი მისწრაფებანი და სხვა.

ჩვენთან ყველა კრებებზე ტარდება მოხსენებები იმის შესახებ, თუ რა ამოცანები უდგას კომკავშირელს შესასრულებელი, რა მონაწილეობა უნდა მიიღოს თითეულ კომკავშირელმა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და მის განმტკიცებაში.

ჩვენც გულმოდგინეთ ვასრულებთ ყოველივე მოვალეობას და კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენ მაგალითის მაჩვენებელი უნდა ვიყოთ დანარჩენ ახალგაზრდობისათვის.

არა გვაქვს ახკომკავშირის წესდებები, რომლის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელია. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ორგანოებისაგან ჯეროვანი ყურადღება და მოგვცენ კომკავშირის წესდებები ქართულ ენაზე.

სამხედრო ალ. გაგუა.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## ყიხვრჩებით სამზარეულოში.

**მეთაურთა სკოლა.**

ამას წინად მოთავსებული იყო შენიშვნა მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდის სამზარეულოს შესახებ, სადაც გაფუჭებულია წყალსადენის მილი და წყალს ვერ ვაკავებთ. ამ გარემოებისათვის დღემდე არ მიუქცევიათ ყურადღება.

წყალმა კი ლამის დაგვახრჩოს სამზარეულოში.

მოგვაქციეთ ყურადღება. შეგვიკეთეთ წყლის მილი.

წ. არმ. ს. კენკებაშვილი.

## მოგვიწყვეთ საგუშაგო.

**ქ. ქუთაისის კომენდანტის საყურადღებოთ.**

ქუთაისის გარნიზონის საგუშაგოში პირდაპირ შეუძლებელია ღამის გათევა. ოთახში არ არის მაგიდა, არც სკამები. დასაწოლ ადგილებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. გვიხდება იატაკზე წოლა. რა გასჭირდა ასე, რომ რამოდენიმე სკამი და დასაწოლი კოიკები ვერ შეიძინეს?

ასეთ პირობებში ღამის გათევა შეუძლებელია, მოაწყვეთ საგუშაგო ოთახი.

სამხედრო კენჭაძე.

### ჩვენ რად შევადგენთ გამონაკლისს?

**1-ლი არტლეგიონი.**

ყველა ნაწილებმა მიიღეს საზამთრო ტანისამოსი, მაგრამ ჩვენს ლეგიონს აქამდე არაფერი ეშველა. ფეხსაცმელები განსაკუთრებით არავის აღარ უვარგა. საინტერესოა რას შვრება ჩვენი მნე, როგორ ზომებს ღებულობს?

სხვამ თუ მიიღო ხვედრი ტანსაცმელი, რად უნდა შევადგენდეთ ჩვენ გამონაკლისს?

სამხედრო ტეტია.

# უცხოეთის არმიებში

**პოლონეთის პოლიციის ქიმზაცია.**

პოლონეთის ერთ-ერთი გაზეთის ცნობით, პოლონეთის პოლიციამ უკვე დაიწყო ყუმბარების ტყორცნის შესწავლა და როგორ უნდა მოეკიდონ შხამიანი გაზების მოხმარას.

ყუმბარებს პოლიცია იხმარს, დამნაშავის შეპყრობისა და ქუჩაში ატეხილ უწესრიგობის შემთხვევებში.

ყუმბარებში-პ ომბებში მოთავსებულია ერთგვარი გაზი, რომელიც რამოდენიმე მეტრის რადიუსის არეში მოტნეულ ადამიანებში იწვევს ცრემლის დენას და ერთი საათის განმავლობაში უკარგავს კაცს მხედველობას.

სწავლების დროს ექიმებმა მოახდინეს ცდები ამ გაზის ხმარებით, გამოირკვა, რომ ჯანმრთელობისათვის მას არავითარი მავნებლობა არ მოაქვს.

ახლო მომავალში პოლონეთის სატახტო ქალაქის პოლიციის სამართველო ასეთი გაზიან ხელის ბომბებს გადაგზავნის პროვინციაში ადგილობრივი პოლიციისათვისაც.

**ლატვიისა და ესტონეთის სამხედრო-საზღვაო დაახლოება.**

ოქტომბერში ლატვიის საგუშაგო გემ „ვირსაიტსმა“ ინახულა რეველი (ესტონეთის ქალაქი). ამ სტუმრობას გაზ. „რეველის უწყების“ ცნობით აქვს მხოლოდ სამოსწავლო ხასიათი.

გემ „ვირსაიტისის“ ოფიცერთა და რაზმის შემადგენლობა გაეცნო ესტონეთის ფლოტის ბაზის მოქმედებას, განსაკუთრებით იმ სახელოსნოების მუშაობას, რომლებშიდაც მზადდება ნაღმები. საზღვაო სარდლობის წარმომადგენელი რომელიც ჩავიდა აგრეთვე რეველში, გაეცნო ესტონეთის საზღვაო სიმაგრეებს, რის შემდეგ „ვირსაიტისმა“ დასტოვა რეველი.

**ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადება ჩეხო-სლავიაში.**

როგორც ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, ჩეხო-სლავიასაც შემოუღია სასწავლებლებში სამხედრო სწავლება. ჩეხიის სამხედრო სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება 14 თვემდე იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ გატარებული იქნება ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადება.

სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება დაიწყება 1927 წ. ოქტომბრიდან. ამისათვის საჭიროა, რომ ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების კანონი გატარებული იქნეს ცხოვრებაში 1926 წლის განმავლობაში და შეიცავდეს 19-20 წლამდე მთელ ახალგაზრდობას.

ჩეხო-სლავია ფიქრობს ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების გატარებისათვის გამოიყენოს სხვა სახელმწიფოების გამოცდილება ამ საქმეში.

**რუმინეთის ახალი რუკა.**

რუმინეთის უფროს გენერალური შტაბის კარტოგრაფიულმა სამართველომ გამოუშვა „დიდი რუმინეთის ტერიტორიის ახალი რუკა, რომელიც შედგენილია რუმინეთის ტერიტორიის უკანასკნელი ადმინისტრატიული დაყოფის მიხედვით.

# ამბები სოფლებიდან

**დუშეთის აღმასკომმა** დააწესა შეღავათები მიანიჭოს სოფ. ახალ-სოფლის გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში, ვინაიდან იქ საქონლის ჭირი მძვინვარებს და გამოცხადებულია კარანტინი.

**არტელების გაერთიანება.** ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრების ინვალიდების არტელებმა დაადგინეს გაერთიანდენ.

**გორის მაზრაში** უკვე ჩატარდა ყრუ-მუნჯთა აღრიცხვა.

**ოზურგეთში** არსებულმა ინვალიდთა ნადმა „საქმემ“ თავის თავზე მიიღო 10 ინვალიდის შენახვა.

# ახალი ამბები.

— **საბინაო ამხანაგობები.** ტფილისში ამ ჟამად ითვლება 192 საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.

— **ქართველ ებრაელთა საჭიროების შესასწავლად** განათლების კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია ამხ. მეძმარიაშვილის, გოგუაძის, რუხაძის და ბერიძის შემადგენლობით.

— **გეოლოგიური ინსტიტუტი.** განათლების კომისარიატი ტფილისში აწყობს გეოლოგიურ ინსტიტუტს, რომლის დირექტორად მოწვეულ იქნება პროფ. ალ. ჯანელიძე.

— **პენსია მასწავლებლებს.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დანიშნა მასწავლებელთა პენსიაზე ჩამრიცხავი კომისია.

— **წყალით მკურნალობა.** თფ. ჯანმრთ. განყოფ. დაადგინა მოაწყოს წყალით სამკურნალო (ბალნეოლოგიური) სადგური.

— **ლენინის სახელობის** ტყავის ქარხანაში ეწყობა სასადილო მუშებისათვის.

— **გადამდები სნეულებით.** მთელ საქართველოში ოქტომბრის განმავლობაში გადამდებ სნეულებით ავათ გახდა 21 ათასი კაცი.

— **რკ. გზის მუშათა ფაკულტეტი** გადარიცხულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტათ.

— **ჯანმრთელობის კომისარიატთან** ეწყობა ჯანსახკომის კოლეგია, რომელშიაც შევლენ გლეხების წარმომადგენლები.

— **დარაბები ოთახების** მაგიერ. დღემდე დარაბებში საცხოვრებლათ მთელ ტფილისში ჩასახლებულია 6 ათასი სული.

— **სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა** მოწვეულია 29 ნოემბერს.

— **სახელმწიფო კონსერვატორიის** საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა გადასდო 6 ათასი მანეთი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ლ. ჭელიძეს.** რომ საინჟინერო ნაწილში შეხვიდეთ, ამისთვის საჭიროა საშუალო ცოდნა და კიდევ გამოცდები უნდა ჩააბაროთ.

**გამყრელიძეს.** გაზეთის გამოწერა შეიძლება რედაქციიდან. ფულს გამოაგზავნით რედაქციის სახელზე.

**წ. ა. გლეხს.** წ. არმ. სასწავლებელში შეუძლია სიარული მხოლოდ უფროსის ნებართვით.

**სებუჯოვს.** თუ ავად ხართ უნდა მიმართოთ ლეგ. უფროსს ექიმს.

**გაბინაშვილს.** თუ როდის გაანთავისუფლებენ 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულთ, ამის შესახებ იქნება თავის დროზე ბრძანება.

**ბატიაშვილს.** როგორც თქვენ, ისე თქვენ ძმასაც გაიყვანენ წვევამდელად.

**შ. ბ.** ოცეულის უფროსს არ შეუძლია დაავალოს თავის თანაშემწეს ცხენის მიყვანა სახლში.

**მ. ვ.** უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ უნდა მიმართოთ იმ დაწესებულებას, სადაც თავისუფალი ადგილი იქნება და უნდა მოგეცეთ პირველ რიგში როგორც წითელ არმიელს.

**მასვე.** მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

**დ. ლაჩრავას.** თუ მოხალისესთვის დადებული ვადა შეასრულეთ, მაშინ ჩაგეთვლებათ სამსახური, თუ არა და არა.

**გიორგელაშვილს.** თქვენ როგორც 1903 წ. დაბადებული უნდა იმსახუროთ ორი წელი ქვეითა ჯარში.

**ჰუმბურიძეს.** ტანისამოსი გეკუთვნით, რასაც მიიღებთ თავის დროზე.

**ტ. დოლიძეს.** უვადო შვებულებაში წასვლის დროს მოგეცემათ მეორე ვადის მაზარა.

**ს. კენკებაშვილს.** უვადო შვებულებაში წასვლის დროს, თუ იქნება ერთეულში მოგეცემათ საზამთრო ჩაფხუტები.

**ნ. ხოსროევს.** შეგიძლიათ მიმართოთ მთავარ მიმღებ კომისიას.

**კ. რ—ას.** მოკლე ვადიანი შვებულება ეძლევათ წ. არმ. საპატიო ოჯახური მდგომარეობის გამო.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**როგორ ჩნდება ცისარტყელა.**

ცისარტყელა ერთი ულამაზესი ბუნების მოვლენაა, რომლის ხილვით მართლა ძლიერ სტკბება ადამიანი. რა იწვევს ცისარტყელას? სულ უბრალო მიზეზი შეიძლება ჩავსთვალოთ მზის სხივების სიცელქის ნაყოფად დედამიწის ატმოსფეროში. ნამდვილი და მეცნიერული ახსნა—განმარტება ამ მოვლენის შესახებ ჯერ კიდევ 17 საუკუნეში მოგვცა ფრანგ მეცნიერმა დეკარტემ.

ცისარტყელა ჩნდება მზის სხივების გადატეხვისა და არეკვის მეოხებით წვიმის წვრილ წვეთებში გავლის დროს. მხოლოდ, რომ ცისარტყელის წარმოშობა იქნეს შესაძლებელი, დაცული უნდა იქნეს ერთი პირობა: მზე საგრძნობლად დახრილი უნდა იყოს $42^{\circ}$ სით ორიზონტისაკენ (ის ხაზი რომელიც ყოფს ჩვენი მხედველობისათვის ცასა და დედამიწას).

თუ ეს პირობა იქნება დაცული, ნაწილობრივად მოწმენდილი ცისა და მზის მოწინააღმდეგე მხარეზე წვიმის დროს, ცისარტყელა აუცილებლად გადაეჭდობა სივრცეს თავისი მომხიბლავი შვიდი ფერით.

არის აგრეთვე ეგრედ წოდებული მთვარის სხივებისაგან წარმოშობილი ცისარტყელა. ეს უფრო იშვიათად იცის. ამ დროსაც ისეთივე პირობაა საჭირო, როგორც მზის სხივებით გაჩენილ ცისარტყელის დროს. ე. ი. მთვარეც $42^{\circ}$-სის უნდა იყოს დახრილი ჰორიზონტისადმი. ის გარემოება, რომ მთვარის სხივებიდან წარმოშობილი ცისარტყელა იშვიათია, აიხსნება თვით მთვარის სუსტი სხივებით. მთვარე მხოლოდ რამოდენიმეჯერ არის ძლიერ განათებული.

მაშასადამე მხოლოდ ასეთ შემთხვევებში შეიძლება მისგან ცისარტყელის მიღება.

ამას გარდა საზოგადოდ ლამე ძლიერ არ უწყობს ხელს ცისარტყელის წარმოშობას.

ნ. დ. ს. ც.

ამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.